*დანართი №1*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
ა(ა)იპ - სასწავლო - აღმზრდელობით და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი ,,ეტალონი''

შეფასების თარიღ(ებ)ი 29, 30 ნოემბერი, 1 დეკემბერი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი 28 დეკემბერი 2022 წელი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა   --------------------

ბ.ა.

გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | ა(ა)იპ - სასწავლო - აღმზრდელობით და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი ,,ეტალონი’’ |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | ა(ა)იპ |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 220383608 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | **დიახ** |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | **არა** |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | **არა** |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | **არა** |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | **არა** |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი ზუგდიდი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა   --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| იურიდიული მისამართი | ქალაქი ზუგდიდი, თავისუფლების ქუჩა N5 |
| ფაქტობრივი მისამართი | ქალაქი ზუგდიდი, ლევან მეორე დადიანის ქ N23 |
| საფოსტო ინდექსი | 2100 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | www.nike.edu.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | Tamar.karchava76@gmail.com |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 574505557 |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | თამარი ქარჩავა |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 574505557 |
| ელ-ფოსტა | Tamar.karchava76@gmail.com |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის, კახაბერ ერაძის 2022 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება MES 9220001299342 - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ - სასწავლო - აღმზრდელობით და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი ,,ეტალონი'' ვიზიტის შესახებ''. |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 29, 30 ნოემბერი, 1 დეკემბერი, 2022 წელი |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ირმა ხუციშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | ნანა ედიშერაშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | - |
| წევრი (სახელი, გვარი) | - |
| წევრი (სახელი, გვარი) | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. [signature]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | მუხლი 6 | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | მუხლი 6/ პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | მუხლი 6/ პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 6/ პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | მუხლი 7 | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | მუხლი 7 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებზგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ა) | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ) | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.) | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | მუხლი 7 / პუნქტი ა.დ) | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ზ) | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე) | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | მუხლი 7/ პუნქტი ი) | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | მუხლი 8 | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | მუხლი 8/ პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | მუხლი 8/ პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | მუხლი 8/ პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | - |
| | *1.2* | - |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.1.* | - |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | - |
| ქვესტანდარტი | 2.2 | - |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | - |
| ქვესტანდარტი | 3.1 | - |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | სკოლის მისიაა ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით მოსწავლეებს მიაწოდონ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლება, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებს; უსაფრთხო და შესაძლებლობებით მრავალფეროვან გარემოში, უზრუნველყოს მოსწავლეთა პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა და განვითარება; ხელი შეუწყონ პატრიოტული ცნობიერების, დემოკრატიული ღირებულებების, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, ჯანსაღი ცხოვრების მიმდევარი, ინტელექტუალურად განვითარებული მოქალაქეების ჩამოყალიბებას და მოამზადონ ისინი აქტიური სამოქალაქო ცხოვრებისთვის. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 95 | ექსპერტი ეთანხმება ☒ | აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება ☐ | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი „ეტალონის" (შემდგომში სკოლა) სასკოლო-სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე.<br>სკოლა სწავლებას ახორციელებს მხოლოდ დაწყებით (პირველ) საფეხურზე. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე I-VI კლასებში.<br>სკოლის მისია გამომდინარეობს ზოგადი განთლების ეროვნულ მიზნებიდან და ფოკუსირებულია ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, როგორიც არის მოსწავლეთა პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა და განვითარება, პატრიოტული, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება, ჯანსაღი ცხოვრების კულტურა. **სკოლის მისიის ბოლო ნაწილში მოხსენიებულია "ხელი შევუწყოთ პატრიოტული ცნობიერების, დემოკრატიული ღირებულებების, მოქალქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, ჯანსაღი ცხოვრების მიმდევარი, ინტელექტუალურად <u>განვითარებული მოქალაქეების ჩამოყალიბებას და მოვამზადოთ ისინი აქტიური სამოქალაქო ცხოვრებისათვის"</u>.**<br><br>**მოცემული ფორმულირება თავისი შინაარსით შეესაბამება ესგ-ს საშუალო საფეხურის მისიას. მოქალაქის ჩამოყალიბება და** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **ცხოვრებისათვის მომზადება საჭიროა მოსწავლის ცხოვრების ახალ, სკოლისშემდგომ ეტაპზე გადასასვლელად, რაც დაწყებით საფეხურისთვის შესაძლებელია მიუღწევადი აღმოჩნდეს.** სასკოლო სასწავლო გეგმაში ასევე ფორმულირებულია ესგ-ით გათვალისწინებული დაწყებითი საფეხურის მისიაც:<br>„ა) საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;<br>ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;<br>გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნის მოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის“.<br><br>**ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი „ეტალონის“ მისია სრულ შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების საჭიროებებთან, შესაძლებლობებთან, ამზადებდეს მათ სწავლის მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად და ყურადღებას ამახვილებდეს საბაზისო უნარების განვითარებაზე, მოსწვლეებში სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე.**<br><br>2022-2023 სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავს შემდეგ ნაწილებს:<br>✓ სკოლის მისია და ხედვა;<br>✓ სწავლა-სწავლების მიზნები, საგანმანათლებლო პრინციპები და მეთოდური ორიენტირები;<br>✓ განათლების ენები და ენობრივი განათლება;<br>✓ სასწავლო წლის კალენდარი;<br>✓ დღის განრიგს კლასების მიხედვით;<br>✓ სასკოლო საათობრივი ბადე; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ✓ საგანმანათლებლო რესურსები: სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;<br>✓ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, აღდგენის წესი;<br>✓ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების სკოლის სტატისტიკური ანალიზი;<br>✓ შინ სწავლება;<br>✓ ინკლუზიური განათლება;<br>✓ სავალდებულო საგნები;<br>✓ სადამრიგებლო პროგრამა;<br>სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის 2022-2023 სასწავლო წლის კალენდარი. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც.<br>I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი;<br>II კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა- 40 წუთი;<br>III-VI კლასებში - 45 წუთი;<br>გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი, როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია გაკვეთილების განრიგი ყველა კლასისთვის.<br>სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის სასკოლო საათობრივი ბადე, რომელიც განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას; მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება.<br>სკოლის მიერ წარმოდგენილი საათობრივი ბადეების მიხედვით, დაწყებითი საფეხურის კლასებში ისწავლება ეროვნული სასწავლო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გეგმით განსაზღვრული ყველა საგანი პირველი მოდელის შესაბამისად.<br><br>სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი კათედრა.<br>კათედრა აერთიანებს ყველა საგნის მასწავლებელს. სასკოლო სასწავლო გეგმაში არაა აღწერილი კათედრის საქმიანობა და ფუნქციები, თუმცა სკოლას გააჩნია "ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობით და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ „ეტალონის" კათედრის ზოგადი დებულება", სადაც წარმიდგენილია კათედრის მიზნები და ამოცანები, ფუნქციები, განრიგი და ანგარიშვალდებულებები, კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები. კათედრის მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდებზე, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზზე, ურთიერთთანამშრომლობაზე, გამოცდილების გაზიარებაზე, მესამე თაობის ესგ-ს დანერგვაზე და ა.შ.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ასევე შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა კლასების მიხედვით.<br>გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, წარმოდგენილია დოკუმენტის დანართის სახით და ატვირთულია eSchool - ში.<br>სასკოლო სასწავლო გეგმით შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ „ეტალონის" 2022-2023 ს/წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა(იხ. დანართი 1);<br>• პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 30 ნოემბრის N2 ოქმი;<br>• დირექტორის ბრძანება # 2-57 – 30.09.2022;<br>• სკოლის მისია;<br>• ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ „ეტალონის" კათედრის ზოგადი დებულება;<br>• ინტერვიურება სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ „ეტალონში" სწავლა-სწავლების პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდოლოგიის შესაბამისად მიმდინარეობს.<br><br>ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას სკოლაში ირიცხებოდა 67 მოსწავლე. სკოლისთვის თითოეული მოსწავლე არის უნიკალური, როგორც უნარებით და შესაძლებლობებით, ასევე, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით.<br><br>2022-2023 სასწავლო წელს სკოლა I-VI კლასებში, მაღალი მოთხოვნის შემთხვევაში, სთავაზობს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, მხოლოდ სააღმზრდელო მომსახურებას (დღის გახანგრძლივებული ჯგუფი), სადაც აღმზრდელ-მასწავლებლების ზედამხედველობით შეასრულებენ საშინაო დავალებებსა და მოამზადებენ შემდეგი დღის გაკვეთილებს.<br><br>კათედრის პორტფოლიოში იკვეთება, თუ რამდენად არის სკოლა დაინტერესებული მოარგოს სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია მოსწავლის საჭიროებებს. მოთავსებულია კათედრის ჟურნალი, სამუშაო გეგმა, ოქმები, კათედრის ფარგლებში შემავალი საგნების შესაბამისი ესგ-ს სტანდარტები, საგნის სწავლების მიზნები, სასწავლო თემების ჩამონათვალი, ინდიკატორები, მეთოდიკური ორიენტირები, თემის აგების ბიჯები, კომპლექსური დავალების ნიმუშები, კომპლექსური დავალების ბარათები, გამჭოლი უნარები და ღირებულებები, თემატურ-კალენდარული გეგმები, სასწავლო თემის დასაგეგმად გასათვალისწინებელი ნაბიჯები, განხორციელებული სასწავლო პროექტები, ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის, შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობები კლასებისა და საგნების მიხედვით, შემაჯამებელი დავალებების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შედეგები, შედეგების ანალიზი, მასწავლებლის რეფლექსია და სხვა... მოცემული დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში დაწყებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესები.<br><br>სკოლაში ექსპერტთა ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ ფოიეში, თითოეულ საკლასო ოთახში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, კედლის გაზეთები, პოსტერები, ნახატები, კომიქსები, ნაკეთობები, რაც ადასტურებს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში, სხვადასხვა სასწავლო პროექტში. ნამუშევრები სხვადასხვა საგნობრივი დისციპლინის ფარგლებშია წარმოდგენილი.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია სადამრიგებლო პროგრამა, დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები და პრინციპები, დამრიგებლის მუშაობის მიზანი, რეკომენდაციები „სადამრიგებლო საათის“ განხორციელებისთვის, სადამრიგებლო საათის თემები მიმართულებების მიხედვით. დამრიგებლებს აქვთ პორტფოლიოები, სადაც წარმოდგენილია კლასში შემსვლელი მასწავლებლების საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა ინფორმაცია, მშობლების საკონტაქტო მონაცემები, სადამრიგებლო გეგმა, კლასში ჩატარებული ღონისძიებები, მოსწავლეთა დახასიათებები, მშობლის კითხვარები მოსწავლის თავისებურებების შესახებ, მშობელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი, სემესტრული და წლიური ანგარიშები.<br>სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კონკრეტულ კლასში კონკრეტული საგნის სწავლებისას ხელი ეწყობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შინაარსების გააზრებასა და უნარების გამომუშავებას, რაც მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუებითაც დასტურდება. სკოლის მოსწავლეები ინტერვიუს პროცესში აქტიურად საუბრობენ მიმდინარე სასწავლო პროცესში მათი ჩართულობისა თუ დაგეგმილი სხვადასხვა ერთობლივი აქტივობების შესახებ. მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არიან რეალიზებულნი, რომ მასწავლებლები სთავაზობენ მათ საინტერესო და სახალისო აქტივობებს, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | რაც ხელს უწყობს ნებისმიერი მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.<br><br>სასკოლო საათობრივი ბადის შემადგენელი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისიწინებელი სავალდებულო საგნების სწავლების შინაარსით, სხვადასხვა სასკოლო აქტივობებით იკვეთება, რომ სკოლა პასუხობს მოსწავლეთა მოთხოვნებს და შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ „ეტალონის“ 2022-2023 ს/წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 30 ნოემბრის N2 ოქმი;<br>• დირექტორის ბრძანება # 2-57 – 30.09.2022;<br>• ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ „ეტალონის“ კათედრის ზოგადი დებულება;<br>• სადამრიგებლო პროგრამები, კლასის დამრიგებლების პორტფოლიოები;<br>• კათედრის პორტფილო;<br>• თემატური გეგმები/კურიკულუმები;<br>• ინტერვიურება სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ „ეტალონის“ თემატური სასწავლო გეგმების მეთოდიკის, თუ შეფასების კომპონენტების ნაწილებში იკვეთება, რომ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლა ფუნქციონირებს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებით.<br><br>სასკოლო-სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია ინკლუზიური განათლება. ამ ეტაპზე, სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ირიცხება. მიუხედავად ამისა, სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმით წარმოდგენილი რეგულაციები ინკლუზიური განათლების განსახორციელებლად დეტალურად არის გაწერილი და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ალტერნატიული სასწავლო გეგმის შემუშავება და გამოყენება, ისგ-ს ჯგუფის შექმნა, სსსმ აკადემიური მიღწევების შეფასება, დასწრებასა და გაცდენებთან დაკავშირებული რეგულაციები. ინფორმაცია სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შესახებ. აღწერილია ის პრევენციული მექანიზმები, რომელიც განაპირობებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის უსაფრთხოებას.<br><br>წარმოდგენული დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით სკოლაში იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი “ეტალონის“ ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, 2022-2023 სასწავლო წელი;<br>• დამრიგებლის პორტფოლიო;<br>• ინტერვიურება სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. [signature]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი "ეტალონში" მოსწავლის მიღწევების შეფასების წესები შეესაბამება ესგ-ს ძირითად პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები; სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის შეფასებებს. განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების მიზანია მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ესგ-ით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისია. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით. ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10. კლასიდან კლასში გადასაყვანი მინიმალურ ბარიერად დაწესებულია 5,0 ქულა.<br>სკოლისათვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის დანართში მოცემულია შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობა კლასების მიხედვით. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ: ესეს დაწერა, პროექტის მომზადება , ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვა).<br>კათედრის პორტფოლიოებში წარმოდგენილია თითოეული მასწავლებელის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დავალებების როდენობა, ვადები, ხოლო მასწავლებლების პორტფოლიოებში შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების ნიმუშები. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკების /კრიტერიუმების ნიმუშები, რომელიც დანართის სახით თან ერთვის.<br>სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შედეგების ანალიზის ფორმების შინაარსით ჩანს, რომ დაწესებულება აანალიზებს მოსწავლეებთან მიღწეულ შედეგს. იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან მეთოდოლოგიას. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი მასწავლებლებისგან იღებენ სიტყვიერ და წერილობით უკუკავშირებს კომენტარების სახით.<br><br>სკოლაში ტარდება შემდეგი ტიპის გამოცდები:<br>• სემესტრული გამოცდა;<br>• საშემოდგომო გამოცდა;<br>• ექსტერნატის გამოცდა;<br><br>მიმდინარე და შემაჯამებელი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების შედეგები თავს იყრის ელექტრონულ ჟურნალში edupage, რაზეც წვდომა აქვს მოსწავლის მშობელს. ელექტრონული ჟურნალის მრავალფეროვანი ავოტმატიზირებული ფუნქციონალები სკოლას ეხმარება დააკვირდეს მოსწავლის პროგრესს, უმოკლეს დროში მოახდინოს მოსწავლეთა აკადემიური შედეგების სტატისტიკის ანალიზი, მოსწავლეთა დასწრების სტატისტიკის იდენტიფიცირება და სხვა.<br>მასწავლებელები ინტერვიუირებისას აღნიშნავდნენ, რომ მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წელს ცდილობენ კიდევ უფრო გააუმჯობესონ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განმავითარებელი შეფასების მექანიზმები სოლო ტაქსონომიის გამოყენებით.<br>მოსწავლეთა და მშობელთა ინტერვიუირებიდან იკვეთება, რომ შეფასება სკოლაში არის გამჭვირვალე, სანდო, ვალიდური და ობიექტური. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• დანართი-შეფასების რუბრიკები;<br>• ელექტრონული ჟურნალის https://etaloni.edupage.org ვიზუალური დათვალიერება;<br>• კლასის დამრიგებლების პორტფოლიოები, ანგარიშები;<br>• დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის თემატური გეგმები/კურიკულუმები;<br>• კათედრის პორტფილოები;<br>• შემაჯამებელი სამუშაოს ნიმუშები, შემაჯამებელი სამუშაოს სემესტრული ანალიზის ფორმები;<br>• ინტერვიურება სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი “ეტალონსა“ და მშობელს შორის ურთიერთობა რეგულირდება დებულებითა და მშობელთან დადებული ხელშეკრულებით.<br>ყოველი კვირის პარასკევი მშობლებთან შეხვედრის დღეა და მშობლებს შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ.<br>მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით);<br>• Teams-ის ან Zoom-ის პლატფორმის მეშვეობით ონლაინ ფორმატში;<br>• ყოველდღიური კომენტარებით I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში;<br>• მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს;<br>• ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით;<br>• სოციალური ქსელის მეშვეობით, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი, სადაც ყოველდღიურად თავსდება დეტალურად აღწერილი საშინაო დავალებები და მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები (გარდა აკადემიური მოსწრებისა).<br>• საგნის მასწავლებელთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე (მასწავლებელი მშობელთან პირადი ურთიერთობის დროს, უფლებამოსილია მშობელს გააცნოს შვილის აკადემიური მოსწრება, მხოლოდ იმ სასწავლო საგანში რომელსაც ასწავლის);<br><br>მოსწავლის აკადემიური მოსწრების, პირადი ურთიერთობების, დისციპლინის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი განხილვა საჯაროდ დაუშვებელია. მოსწავლის პირად ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამრიგებელი ან დირექციის წევრი ინდივიდუალურად ხვდება მშობელს;<br>თითოეულ კლასში მშობელთა სავალდებულო კრება ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში და ყოველი სემესტრის ბოლოს;<br>მშობელთან ურთიერთობის დროს (მიმოწერისას ან საუბრისას) მოსწავლის დადებითი მხარეების წარმოჩენით უნდა იწყებოდეს, რასაც შეიძლება სხვადასხვა სახის პრობლემების განხილვა მოჰყვეს. მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს დაუშვებელია მოსწავლის პიროვნული ღირსებების შელახვა, უხეშობა. შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მრავალმხრივი და აუცილებლად პოზიტიურიდან პრობლემისაკენ მიმართული; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მშობელი ჩართული უნდა იყოს სასკოლო ცხოვრებაში. თითოეულ მშობელს შესაძლებლობა აქვს თავისი სურვილისამებრ მონაწილეობა მიიღოს სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა თუ აქტივობებში.<br>დებულებაში წარმოდგენილია მშობლებთან შეთავაზებული მრავალფეროვანი საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები.<br>მშობლები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, რომ ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში. სკოლა ხშირად ატარებს მათ გამოკითხვას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. ელექტრონული ჟურნალის გარდა, ისინი აქტიურად სარგებლობენ სკოლის ვებგვერდით www.nike.edu.ge, სკოლის გვერდით სოციალურ ქსელში (Facebook). ისინი აღნიშნავდნენ, რომ დამრიგებლებს აქვთ შექმნილი მშობელთა პრივატული ჯგუფები სოციალურ ქსელში, სადაც ისინი უმოკლეს დროში იღებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას შვილების შესახებ, ასევე სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგად საგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ “ეტალონის“ შინაგანაწესი;<br>• ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგად საგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ “ეტალონის“ მშობელთან ურთიერთობის დებულება;<br>• ვებ-გვერდი: www.nike.edu.ge<br>• სადამრიგებლო პროგრამები;<br>• მშობლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. ვ...

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგად საგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ “ეტალონს“ შემუშავებული აქვს 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. მისი მიზანია, სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგი, მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“.<br>მონიტორინგი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მონაწილეთა საჭიროებების გამოვლენას, რაზე დაყრდნობითაც განისაზღვრება პრობლემების გადაჭრის გზები. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე ხდება სასკოლო-სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანა. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის სრულყოფისთვის შემუშავებულია ხარისხის უზრუნველოყოფის სამოქმედო გეგმა, რომელიც დანართის სახით ერთვის დოკუმენტს.<br>სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები, ასევე გაკეთებულია შედეგების ანალიზი და დასკვნები.<br>მონიტორინგის შედეგების საფუძველზე სკოლა ახდენს SWOT ანალიზს. წარმოდგენილია გასული სასწავლო წლის SWOT ანალიზი, რის საფუძველზეც შემუშავდა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.<br>მონიტორინგის, შეფასება-შემოწმებისა და კონფიდენციალური გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, სკოლა შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და შესაბამის სამოქმედო გეგმას, რაც საბოლოოდ, მიზნად ისახავს არსებულ სტანდარტებთან სკოლის შესაბამისობის მიღწევას.<br>სკოლას შემუშავებული აქვს ასევე ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომელიც აერთიანებს სკოლაში დასაქმებული პირების, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პროცედურების, შეფასების სფეროების, პერიოდულობის და ანგარიშგების შესახებ ინფორმაციას. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებას ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მოადგილე, რომელიც სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესს გეგმავს და ზედამხედველობას უწევს შიდა მონიტორინგის ჯგუფის მეშვეობით.<br>ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შეფასებას ექვემდებარება შემდეგი სფეროები:<br>ა) დამრიგებლის მუშაობის შეფასება;<br>ბ) კათედრების მუშაობის შეფასება;<br>გ) მასწავლებლების პორტფოლიოს წარმოების შეფასება;<br>დ) სასწავლო პროცესში გამოყენებული თვალსაჩინოებები;<br>ე)რამდენად ეფექტურად გამოიყენებოდა განმავითარებელი შეფასებები;<br>ვ) მოსწავლეთა მიღწევები ცალკეული საგნების მიხედვით<br>ზ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მომსახურების ხარისხი და მათი მიღწევები;<br>თ) სასწავლო პროცესის გამართულად ფუნქციონირება;<br>ი) სასწავლო პროცესის ტექნიკური გამართულობა, შეესაბამებოდა თუ არა ტექნიკური აღჭურვილობა სასწავლო პროცესს და რამდენად უზრუნველყო მიზნის მიღწევა;<br>კ) მშობელთა ჩართულობა;<br>ლ)სკოლის უსაფრთხოება;<br>მ) შემაჯამებელი სამუშაოების შეფასება და ანალიზი;<br>ნ) პედაგოგების შეფასება;<br>ო) საგაკვეთილო პროცესის ხარისხი;<br>პ) სხვა მნიშვნელოვანი სფეროები, მისი აქტუალობიდან გამომდინარე, რაც უკავშირდება სწავლების ხარისხს.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული ანალიზის საფუძველზე. სასწავლო პროცესის მენეჯერის გეგმის შესაბამისად განხორციელებული სამუშაო ჯამდება, მოპოვებული ინფორმაციის საფძველზე მუშავდება რეკომენდაციები, რაც წარედგინება სკოლის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. ჯღარკავა

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დირექტორს. შემაჯამებელი ანგარიში ასევე წარედგინება სასკოლო საზოგადოებას. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებით მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მუშავდება მომდევნო წლის სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.<br>მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან განხორციელებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი ქმედითია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგად საგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ “ეტალონის“ ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი;<br>• ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგად საგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ “ეტალონის“ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი;<br>• კათედრის ზოგადი დებულება;<br>• კათედრების პორტფოლიო: გაკვეთილებზე დასწრების განრიგი;<br>• SWOT - ანალიზი;<br>• სკოლის განვითარების 6 წლიანი გეგმა;<br>• სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა;<br>• მასწავლებელთა, მშობელთა, მოსწავლეთა გამოკითხვის ფორმები;<br>• მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან განხორციელებული ინტერვიუები; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | - |
| რჩევები: | სკოლის მისიის ბოლო ნაწილში მოხსენიებულია "ხელი შევუწყოთ პატრიოტული ცნობიერების, დემოკრატიული ღირებულებების, მოქალქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, ჯანსაღი ცხოვრების მიმდევარი, ინტელექტუალურად განვითარებული მოქალაქეების ჩამოყალიბებას და მოვამზადოთ ისინი აქტიური სამოქალაქო ცხოვრებისათვის". <br><br> მოცემული ფორმულირება თავისი შინაარსით შეესაბამება ესგ-ს საშუალო საფეხურის მისიას. მოქალაქის ჩამოყალიბება და ცხოვრებისათვის მომზადება საჭიროა მოსწავლის ცხოვრების ახალ, სკოლისშემდგომ ეტაპზე გადასასვლელად, რაც დაწყებით საფეხურისთვის შესაძლებელია მიუღწევადი აღმოჩნდეს. <br><br> ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი „ეტალონის" მისია სრულ შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების საჭიროებებთან, შესაძლებლობებთან, ამზადებდეს მათ სწავლის მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად და ყურადღებას ამახვილებდეს საბაზისო უნარების განვითარებაზე, მოსწვლეებში სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე. |
| ხარვეზები: | - |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: <br><br> ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია <br> ☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

<table>
<tr><td colspan="2">2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:</td></tr>
<tr><td colspan="2"></td></tr>
<tr><td colspan="2">დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით</td></tr>
<tr><td>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</td><td>ა(ა)იპ - სასწავლო - აღმზრდელობით და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი ,,ეტალონი'' სკოლა მდებარეობს ქალაქ ზუგდიდში, ლევან მეორე დადიანის ქ. N3-ში. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, მიწის ფართობისა და მასზე მდგარი შენობის მესაკუთრეა ფიზიკური პირი ლევან დადიანი (პ/ნ 19001011831), მასთან სკოლას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება. აღნიშნულ ხელშეკრულებაში იჯარით სარგებლობით მოქმედების ვადად მითითებულია 2029 წლის 9 აგვისტო. ვიზუალური დათვალიერების მიხედვით, სკოლის ტერიტორია არის შემოსაზღვრული ღობით. სკოლის სრული ფართი არის 898 კვ.მ., ხოლო შენობის 457,1 კვ.მ. შენობა ორსართულიანია. სკოლის შენობის პირველი სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი და საკლასო ოთახები. მეორე სართულზე მდებარეობს საკლასო ოთახები და ბიბლიოთეკა. პირველ და მეორე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები. შენობა - ნაგებობა ვიზუალური დათვალიერებით კეთილმოწყობილ და პოზიტიურ, საგანმანათლებლო პროცესისთვის ეფექტურ გარემოს შთაბეჭდილებას ტოვებს.</td></tr>
<tr><td>ფაქტობრივი მისამართი</td><td>ქალაქი ზუგდიდი, ლევან მეორე დადიანის ქ. N3</td></tr>
<tr><td>მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი</td><td>43.31.59.005</td></tr>
</table>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| *კვ.მ.* | 898,00 კვ.მ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • საჯარო რეესტრის ამონაწერი;<br>• სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• იჯარის ხელშეკრულება; |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ორსართულიან შენობაში სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლებისთვის მოწყობილია ბუნებრივი განათებისა და განიავების, კეთილმოწყობილი 7 საკლასო ოთახი, რომლებიც განლაგებულია შენობის პირველ და მეორე სართულზე. კლასში მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულია მაქსიმუმ 18 მოსწავლით. საკლასო ოთახებში დგას 77 ერთადგილიანი მერხი და სკამი, სკოლის მფლობელობაშია სულ 98 მერხისა და სკამის კომპლექტი. საკლასო ოთახებში არის სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის შესაფერისი ინვენტარი; დაფა, მასწავლებლის მაგიდა, კარადა. სკოლის საკლასო ოთახებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ოთახებში გამოკრულია სხვადასხვა თვალსაჩინოება, რუკები, მოსწავლეთა ნამუშევრები.<br>საკლასო ოთახები და სასწავლო ინვენტარი აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას -95 მოსწავლით განსაზღვრულ კონტიგენტს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• შიდა-აზომვითი ნახაზით;<br>• ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. [signature]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩასატარებლად სკოლის შენობის პირველ სართულზე მდებარეობს სპორტული დარბაზი. სკოლას აქვს შესაბამისი სპორტული ინვენტარი; ბურთები, რგოლები, დვირი, ლახტი, ჭადრაკის დაფები და ა.შ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• სპორტული ინვენტარის შესყიდვის და ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ვინაიდან სკოლა ახორციელებს მხოლოდ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, სტანდარტის მოცემული ქვესტანდარტი შეფასების პროცესს არ ექვემდებარება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას მიეწოდება ელექტროენერგია, წყალი და ბუნებრივი აირი. საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყოფილ ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. **სკოლაში არის ცენტრალური გათბობა, რაც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში იყო დაზიანებული, იმ დროისთვის სკოლა გათბობის საშუალებად იყენებდა დახურული ტიპის დენის (ზეთოვან) გამათბობლებს. ადმინისტრაციის განცხადებით, უახლოეს მომავალში იგეგმება გათბობის სისტემის შეკეთება.** შენობის პირველ და მეორე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, ცალკე გოგონებისთვის, ვაჟებისთვის, სსსმ მოსწავლეებისთვის და სკოლის თანამშრომლებისთვის. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ცხელი წყლით, ერთჯერადი ხელსახოცებით და ყველა საჭირო სადეზინფექციო საშუალებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• კომუნალური გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• ელ. ღუმელების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ ,,ეტალონ"-ში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობდა შენობის მეორე სართულზე სამასწავლებლო ოთახში გამოყოფილ ზონაში. ექსპერტთა რჩევით, სამასწავლებლო გადატანილ იქნა შენობის პირველ სართულზე არსებულ ოთახში და ყოფილი სამასწავლებლო დაეთმო სრულად ბიბლიოთეკას, სადაც მოეწყო სამკითხველო სივრცეც. საბიბლიოთეკო სივრცე, გარემო და არსებული ლიტერატურა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას და ბიბლიოთეკაში მიმართვიანობის გაზრდას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. [signature]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის დირექტორის ბრძანების N2-23 (07სექტემბრის 2021წ.) შესაბამისად, დამტკიცებულია სკოლის ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული. დებულების თანახმად, გაწერილია ბიბლიოთეკის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები, ბიბლიოთეკარის მოვალეობები, მკითხველის უფლებები და ა.შ.<br>სკოლის ბიბლიოთეკაში არის როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ასე სამეცნიერო, მხატვრული და მეთოდური ლიტერატურა. წიგნადი ფონდი შეადგენს-675, სასკოლო სახელმძღვანელოები - 64. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლას **არ ჰქონდა გამოწერილი პერიოდული გამოცემები, ვიზიტის პერიოდში ხელშეკრულება გააფორმეს გაზეთ ,,ახალ განათლებასთან”.** ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, აწარმოებს ელექტრონულ კატალოგს და სარეგისტრაციო ჟურნალს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• „ბიბლიოთეკის დებულება“(დამტკიცებული დირექტორის N2-23 07.09.2021წ . ბრძანება;<br>• წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• სკოლის ბიბლიოთეკართან გასაუბრება;<br>• ხელშეკრულება გაზეთ ,,ახალ განათლებასთან’’(იხ. დანართი 2); |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერ.ითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. სკოლაში არის მოძრავი ხის პანდუსები. ასევე, შენობის პირველ სართულზე მდებარეობს **ადაპტირებული სველი წერტილი, რომელიც არ იყო სრულად მოწესრიგებული. ვიზიტის პერიოდში ადმინისტრაციამ ადაპტირებულ** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საპირფარეშოში დაამონტაჟა მოაჯირის კონსტრუქცია. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების მექანიზმები - ინკლუზიური განათლების კონცეფცია. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მზადაა უზრუნველყოს ამგვარი მოსწავლე ადაპტირებული გარემოთი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება.<br>• ინკლუზიური განათლების მექანიზმები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სასწავლო გეგმის მიზნების განსახორციელებლად საჭირო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სკოლის მფლობელობაშია - 6 კომპიუტერი (3 ნოუთბუქი და 3 პორტატული) 1 - პროექტორი,1 - პრინტერი და 1 - ქსეროქსის აპარატი. სკოლის მთელი პერიმეტრი არის უკაბელო ინტერნეტის (WIFI) დაფარვით. სკოლას ინტერნეტის მიწოდებასთან ხელშეკრულება გაფორმებული აქვს კომპანია სს ,,სილქნეტთან.'' სკოლის ვებგვერდია www.nike.edu.ge . სკოლას აქვს Facebook გვერდიც - სასწავლო-აღმზრდელობითი ცენტრი ეტალონი, სადაც არის ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების, ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ. სკოლა ასევე იყენებს მშობლებისა და მოსწავლეების ინფორმირებისა და უწყვეტი კომუნიკაციის მიზნით, ელექტრონულ ჟურნალს - https://etaloni.edupage.org. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება;<br>• გადახდის ქვითრები;<br>• კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. [signature]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის დირექტორის ბრძანების N2-44 05.10.2022წ. საფუძველზე, დამტკიცებულია ,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ’’ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის დებულება, რაც საგანგებო სიტუაციებთან ერთად ითვალისწინებს (მათ შორის, ხანძრის შემთხვევაში) მოქმედებას და ამ რეაგირებაზე პასუხისმგებელ პირებს, გასატარებელ ღონისძიებებს.<br>სკოლის თანამშრომლებთან ტარდება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქციის შესაბამისად სიმულაცია ხანძრის შემთხვევაში. სკოლის დირექტორმა გაიარა ტრენინგი სახანძრო უსაფრთხოებისა და ბუნებრივი კატასტროფის რისკის შემცირების შესახებ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• სასაქონლო ზედნადები - ცეცხლმაქრების დამუხტვაზე;<br>• საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებები; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის ორივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შედგენილია მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, სკოლის შენობის პარამეტრების გათვალისწინებით. საევაკუაციო გეგმის მიხედვით განლაგებულია სათანადო წესით დამუხტული 3 ცეცხლმაქრი. სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილასაა გაკრული საქართველოს შინაგან საქმეთა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. ჯღარკავა

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის 112-ის ნომერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერი, სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• საევაკუაციო გეგმა; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი, სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია ყველა იმ საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ. შესაბამისად. სამედიცინო კაბინეტში არის გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ფარმაცევტული საშუალებები, სისტემატურად ხდება მათი განახლება. ასევე, არის ონკანი ნიჟარით, სამუშაო მაგიდა, კარადა. თუმცა, სამედიცინო კაბინეტში არ იყო შირმა და სამედიცინო ტახტი, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნული სამედიცინო ინვენტარი შეიძინა.<br>საშტატო განრიგის შესაბამისად, სკოლას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ექთანთან. ის აწარმოებს სამედიცინო მომსახურების აღრიცხვას, მას ევალება მოსწავლეებისთვის არა მარტო პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, არამედ მათი ჯანმრთელობის მონიტორინგის გაწევა. აღსანიშნავია, რომ ამავე ბრძანების შესაბამისად, **სკოლას უნდა ჰყავდეს ექიმი, სკოლას გამოცხადებული აქვს კონკურსი ექიმის პოზიციაზე.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ექიმის ვაკანსიის განაცხადი(იხ. დანართი 4); |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' პროექტი, რაც 27. 07. 2020 წელს აქვს გაგზავნილი განათლებისა და მეციერების სამინისტროში შესათანხმებლად. სკოლამ მიიღო შენიშვნები და მოსაზრებები აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით. რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული პროექტი სკოლის მიერ გაგზავნილი იქნა 12.08.2020 წელს.<br>ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართა წერილით, სადაც ითხოვდა ინფორმაციას, მიიღო თუ არა თანხმობა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების '' შეთანხმებაზე.<br>სკოლას ჰყავს დარაჯი. სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეების უსაფრთხოებაზე ზრუნვა ევალებათ მორიგე მასწავლებლებსა და დამრიგებლებს. ასევე, სადამრიგებლო პროგრამებით გათვალისწინებულია ისეთი აქტივობები, რომელიც მოსწავლეებს ასწავლის სასკოლო სივრცეში უსაფრთხო ქცევის მნიშვნელობას. |
| წესრიგის დაცვის მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • კლასების სადამრიგებლო პროგრამები;<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრება;<br>• სკოლის წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს(იხ. დანართი N3); |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს** | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში წესრიგის დაცვა კონტროლდება დამონტაჟებული კამერებით. რომლებიც ჩართულია 24 საათი. დაწესებულებაში სულ დამონტაჟებული იყო - 4 ვიდეოკამერა ,,თუმცა, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟების-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს #1143 ბრძანების შესაბამისად, **ექსპერტთა რჩევით, სკოლამ დაამონტაჟა დამატებით 4 ვიდეოკამერა სკოლის შენობისა და გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ვიდეოკამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული წესდებით და შინაგანაწესით. წესდება შემუშავებულია დამფუძნებელთა კრების მიერ 2006წ. 5 იანვარს. წესდებით განისაზღვრება საზოგადოების სახელწოდება, მისამართი და სტატუსი, საქმიანობის მიზნები დამფუძნებელი პარტნიორები, კავშირის წევრობა, უფლება- მოვალეობანი, ორგანიზაციული სტრუქტურა.<br>შინაგანაწესი დამტკიცებულია - სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე (2021წლის 07 სექტემბრის N2-36). შინაგანაწესით განსაზღვრულია სამუშაო დროის აღრიცხვა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, შრომის პირობების დაცვის წესები და მათი ფუნქციები. მოსწავლეთა და თანამშრომელთა ქცევის/ეთიკის ნორმები. მასწავლებელთა, მოსწავლეთა და თანამშრომელთა დისციპლინური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი და ა.შ. შინაგანაწესის მეათე მუხლში გაწერილია წახალისების სახეები; მადლობის გამოცხადება, პრემიის გაცემა, მაგრამ არ არის გაწერილი რა შემთხვევაში მიიღებს სკოლის თანამშრომელი წახალისებას. შინაგანაწესის მეცამეტე მუხლში დეტალურადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომის ნუსხა და გადაცდომასთან დაკავშირებული რეგულაციები და სახდელების ტიპები, მექანიზმები. **შინაგანაწესის 14-ე მუხლში აღნიშნულია, რომ დისციპლინურ გადაცდომას განიხილავს სკოლის დირექტორი, ასევე გადაცდომა შეიძლება განიხილოს დისციპლინურმა კომიტეტმა. სკოლის სტრუქტურაში ასეთი რგოლი არ არსებობს, რეალურად დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს სკოლის დირექტორი და დირექტორის მოადგილე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სკოლამ შინაგანაწესში განახორციელა ცვლილებები.** შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებზე და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის დირექტორის ბრძანება(2021წლის 07 სექტემბრის N2-36);<br>• ა(ა)იპ - სასწავლო - აღმზრდელობით და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი ,,ეტალონი’’-ს სკოლის წესდება;<br>• ა(ა)იპ - სასწავლო - აღმზრდელობით და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი ,,ეტალონი’’-ს სკოლის შინაგანაწესი; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლამ წარმოადგინა სკოლის განვითარების 2021-2027 სტრატეგიული გეგმა(დამტკიცებული 07.09.2021 N 2-31 ბრძანებით). სტრატეგიული გეგმის მიხედვით ექვსი ძირითადი მიმართულებით გეგმავს სკოლა თავის საქმიანობას:<br>1. სკოლის განვითარება და მატერიალურ- ტექნიკური ბაზის სრულყოფა<br>2. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო<br>3. საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.<br>4. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება.<br>5. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა.<br>6. მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში.<br>ვიზიტის პერიოდში ადგილზე იქნა შესწავლილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და შესრულების ანგარიში, რომელშიც გარდა იმისა თუ რა იქნა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობებიდან შესრულებული, ასახულია ის აქტივობები, რომელთა შესრულებაც უკეთესად შეიძლებოდა ან რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული სკოლის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმაში. სკოლის მიერ შემუშავებულ განვითარების გეგმებში გათვალისწინებულია შენობის კეთილმოწყობა, სარემონტო სამუშაოების განხორციელება, ინვენტარის შეძენა, სამედიცინო კაბინეტის განახლება, საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემის დახვეწა-განახლება, მასწავლებლების შერჩევა და მათი პროფესიული განვითარება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ა(ა)იპ - სასწავლო - აღმზრდელობით და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი ,,ეტალონი''-ს 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;<br>• ა(ა)იპ - სასწავლო - აღმზრდელობით და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი ,,ეტალონი''-ს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 2021-2027 ექვსწლიანი გეგმა(დამტკიცებული 07.09.2021 N 2-31 ბრძანებით); |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა ხორციელდება დირექტორის ბრძანება N2-25 07.09.2021წ საქმისწარმოების წესის შესაბამისად. დოკუმენტების აღრიცხვის მიზნით არსებობს შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი, სკოლის დირექტორის ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების და პედაგოგიური საბჭოს ოქმების აღრიცხვის ჟურნალები. ასევე მოსწავლეთა მოძრაობის ბრძანებების ჟურნალი. სკოლაში ნაწარმოები ყველა დოკუმენტი ინახება არქივში, სადაც უვადოდაა დაცული. ყველა ჟურნალი დანომრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით. დაწესებულების აქტები და წერილები სკოლის ბლანკზეა გაფორმებული, რაზეც მითითებულია სკოლის დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • დირექტორის ბრძანება N2-25 07.09.2021წ;<br>• საქმისწარმოების ჟურნალების ვიზუალური დათვალიერება;<br>• ერთიანი საქმისწარმოების წესი;<br>• გასაუბრება საქმის მწარმოებელთან; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | სკოლაში არის ცენტრალური გათბობა, რაც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში იყო დაზიანებული, იმ დროისთვის სკოლა გათბობის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. [illegible]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საშუალებად იყენებდა  დახურული ტიპის დენის (ზეთოვან) გამათბობლებს. ადმინისტრაციის განცხადებით, უახლოეს მომავალში იგეგმება გათბობის სისტემის შეკეთება.  მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ დროულად მოიყვანოს წესრიგში გათბობის საქვაბე სისტემა, რომ ზამთრის სეზონში მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაბამისი გარემო-პირობები. |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას ჰყავს სასკოლო-სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსი. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლის საშტატო განრიგის შესაბამისად, სკოლას ჰყავს: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ექთანი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი, დამლაგებელი.<br>მართვის საინფორმაციო სისტემის თანახმად, სკოლაში დასაქმებულია 13 მასწავლებელი, მათგან 8 უფროსის სტატუსის, 1- მაძიებელი, ხოლო 4 უსტატუსო. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;<br>• Eschool ბაზა;<br>• 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო საათობრივი ბადე; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • საშტატო განრიგი; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 13 |
| უსტატუსო მასწავლებლი | 4 |
| მოწვეული/მაძიებელი | 1 მაძიებელი |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 0 |
| უფროსი მასწავლებლი | 8 |
| წამყვანი მასწავლებლი | 0 |
| მენტორის სტატუსი | 0 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლები შერჩეულები არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას აქვს შემუშავებული მასწავლებელთა მიღების წესი, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა, მეცნიერების ,კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებას, თუმცა მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი **ხელშეკრულებების ადგილზე დათვალიერების შედეგად გაირკვა, რომ ხელოვნების მასწავლებელს არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია. სკოლას მიეცა რეკომენდაცია და ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს კანონმდებლობის სრული დაცვით სკოლამ გამოაცხადა კონკურსი ამ მასწავლებლის ვაკანსიაზე.**<br>ყველა მასწავლებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. მათ პირად საქმეებში სრულყოფილადაა წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სტატუსთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>• მართვის საინფორმაციო სისტემის eschool ბაზის მონაცემები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ხელოვნების მასწავლებლის ვაკანსიის განაცხადი(იხ. დანართი 5); |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესებს არეგულირებს სკოლის მერ შედგენილი ორი დოკუმენტი; სკოლის შინაგანაწესის მეათე მუხლი და დირექტორის 2021 წლის 07/09 N2-27 ბრძანებით დამტკიცებული- ვაკანტური საათების კონკურსის ჩატარების წესი. აღნიშნულ წესში გაწერილია კომისიის საქმიანობა, კონკურსის ეტაპები, პროცედურები, კონკურსის ჩაშლის საფუძვლები და საპრეტენზიო კომისიის შესახებ. შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად . შინაგანაწესის მეათე მუხლი არეგულირებს თანამშრომელთა წახალისების ფორმებს, მათ შორის მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, პრემიის გაცემა, მაგრამ არაა გაწერილი რა შემთხვევებში მიიღებენ თანამშრომლები კონკრეტულ წახალისებას.<br>შინაგანაწესის მეცამეტე მუხლი განსაზღვრავს შრომის დისციპლინის დარღვევის წესს, სადაც დეტალურადაა აღწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებული რეგულაციები, მკაფიოდაა განსაზღვრული დასაქმებულის მიერ დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებული სახდელების ტიპების მექანიზმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობით და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი ,,ეტალონი''-ს შინაგანაწესი;<br>• დირექტორთან გასაუბრება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. [signature]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ადმინისტრაციასთან, ტექნიკურ პერსონალთან და მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებები დანომრილია და აღრიცხულია სარეგისტრაციო ჟურნალში. მასწავლებლებთან გაფორმებულია სტატუსის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებით განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი, სამუშაო დრო, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო, დასვენების დრო, ხელშეკრულების მოქმედების ვადა მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. **გასათვალისწინებელია, რომ რამდენიმე შრომით ხელშეკრულებაში ხელშეკრულებების საგანსა და მასწავლებლის უფლება-მოვალეობებში აისახოს მათი სტატუსი და შესაბამისი მოვალეობები.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• ა(ა)იპ - სასწავლო - აღმზრდელობით და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი ,,ეტალონი’’-ს სკოლის შინაგანაწესი: |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობით და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი ,,ეტალონი’’-ს სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-29 07.09.2021წ.დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, დოკუმენტი არეგულირებს დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასებას მათი მუდმივი განვითარების მიზნით. ასევე, სკოლის კათედრების ზოგად დებულებაში(დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 07.09. N 2-23 ბრძანებით) გაწერილია პედაგოგებისთვის დახმარების გაწევის მექანიზმები, რაც გულისხმობს პედაგოგიური დახელოვნების მიზნით, კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ზრუნვას, მათი პროფესიული სრულყოფის გეგმის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუცრიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ.

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შემუშავებას. ასევე, დირექტორი და დირექტორის მოადგილის ფუნქციებით გაწერილია, რომ ისინი უზრუნველყოფენ პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო აქტივობების ორგანიზებას (კოლეგებთან შეხვედრებს, ტრენინგებს, კონფერენციებს) კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებას, წარმატების წინაპირობათა განსაზღვრას და პრობლემების გზების ძიებას. დირექტორის მოადგილე ახდენს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას, რეკომენდაციების შემუშავებას, იკვლევს და ეცნობა პედაგოგთა პროფესიული განვითარების რეალურ მდგომარეობას, ადგენს საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო აქტივობებს. ასევე, უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერ განხორციელებას. რაც შეეხება სკოლის სხვა თანამშრომლებს, მათი პროფესიული განვითარების რაიმე სახის დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლას არ აქვს. სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რჩევა არა მხოლოდ მასწავლებლებისთვის, არამედ სკოლის ადამიანური რესურსისთვის შეიმუშაონ პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;<br>• დირექტორის ბრძანება N2-29 07.09.2021წ.;<br>• გასაუბრება მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ავტორიზაციის ვიზიტის დროს მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს დგინდება, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას. მოსწავლეები საუბრობდნენ განხორციელებულ სასკოლო პროექტებზე, რაშიც მონაწილეობას იღებდა სკოლის ყველა მოსწავლე, ეს კი ხელს უწყობს დამოკიდებულებების, ურთიერთობების პოზიტიური კუთხით განვითარებას. მშობლები აღნიშნავდნენ, რომ სკოლა მაქსიმალურად ზრუნავს თანამშრომლობითი გარემოს შესაქმნელად. მათ გამოთქვეს კმაყოფილება სკოლის ხარისხიანი მომსახურების შესახებ. განსაკუთრებით აღინიშნა მოსწავლეებს და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი დამოკიდებულების შესახებ. ასევე, რომ სკოლა ორიენტირებულია სწავლა-აღზრდისთვის საჭირო გარემოს შექმნაზე. სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად. ყველა თანამშრომელსა და მოსწავლეს შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • გასაუბრება მოსწავლეებთან, მშობლებთან, პედაგოგებთან;<br>• სკოლის Facebook გვერდი; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | გასათვალისწინებელია, რომ მასწავლებლებთან დადებულ რამდენიმე შრომით ხელშეკრულებაში, კერძოდ, საგანსა და მასწავლებლის უფლება-მოვალეობებში აისახოს მათი სტატუსი და შესაბამისი მოვალეობები. |
| ხარვეზები: | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი: 5

თბილისი 28 დეკემბერი 2022 წელი

(შევსების ადგილი) (თარიღი)

გვერდების რაოდენობა 46



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. [illegible]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.